ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14

2024 წლის 21 ივნისი

ქ. ბორჯომი

„ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის №39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის გათვალისწინებით ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

1. შევიდეს ცვლილება „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 ნოემბრის №39 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 010250000.35.139.016531, 24/11/2023 წელი) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის - „ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულება“-ის მე-11 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსი 11^1 მუხლი“

„მუხლი 11^1 პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი

1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი არის საჯარო მოხელე, რომელსაც ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტებიდან განსაზღვრავს საკრებულოს თავმჯდომარე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ასრულებს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია-მოვალეობებს და ანგარიშვალდებულია უშუალოდ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წინაშე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2024 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — დავით ზაალიშვილი